საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თელია ალექსანდრე (დავით) ზაქარიას ძე

თელია ალექსანდრე (დავით) ზაქარიას ძე (დ. 30. VI. 1954, თბილისი), იმუნოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1998). 1978 დაამთავრა თსსი, 1993-იდან თსსუ-ის ალერგოლოგიის და კლინ. იმუნოლოგიის კათედრაზე ეკავა სხვადასხვა თანამდებობები; მ. შ. 1996–2001 იყო კათედრის გამგე, 2003–05 – ექსპერიმენტული და კლინ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 2005–06 – თსსუ-ის რექტორი. 2006-იდან თსსუ-ის ალერგოლოგიის და კლინ. იმუნოლოგიის მიმართულების სრული პროფესორია.

თ. არის საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი (1977-იდან), 2000-იდან – საქართვ. ასთმოლოგთა, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, 2012-იდან – საქართვ. ექიმთა პოსტდიპლომური ასოციაციის პრეზიდენტი, საქართვ. სამედ.-ბიოლ. აკადემიის წევრი (1998).

თ-ს სამეცნ. შრომები ეხება ალერგოზების ეპიდემიოლოგიას, ბრონქული ასთმის, კვებითი ალერგიის და ატოპიური დერმატიტის შესწავლას ბავშვთა და მოზრდილთა პოპულაციაში და სხვა.

თხზ.: კლინიკური კვლევების წარმოების და განხორციელების მეთოდოლოგიის საფუძვლები, წგ. 1–2, თბ., 2001–06.